აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №4

18/08/2020 წელი **ქ. ბათუმი**
12[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე და ტარიელ გოგიტიძე.

არ ესწრებოდა: თორნიკე მჟავანაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ;

2. დადგენილება
არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე;

3. დადგენილება
„მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ;

5. განკარგულება
არასაარჩევნო პერიოდში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ;

6. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №5 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ;

7. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება
შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ;

2. დადგენილება
არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე;

3. დადგენილება
„მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ;

5. განკარგულება
არასაარჩევნო პერიოდში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ;

6. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №5 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

1. დადგენილება
შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების თანახმად, უსკო უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს უსკოს წევრის შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხები. ასევე აღნიშნა, რომ სხდომაზე წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გაწერილია უსკოს წევრის სამსახურებრივი უფლებებისა და ვალდებულებების, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების, შრომის ანაზღაურების, შვებულების, სამუშაო დროის, დასვენების დროის, თანამდებობათა შეუთავსებლობის და ა. შ. პროცედურები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ[7]“ ქვეპუნქტისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს უსკოს თავმჯდომარის/წევრების შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(თან ერთვის)

2. დადგენილება

არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე“ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებით, რომლის

თანახმადაც უსკომ უნდა უზრუნველყოს არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის დადგენილებით განსაზღვრა. უსკოს თავმჯდომარის განცხადებით, არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წარმოდგენილი წესი განსაზღვრავს აკრედიტაციის მოსაპოვებლად, უსკოში განაცხადების მიღების წესსა და ვადებს, აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის გაცემის პირობებს, ვადას, აკრედიტირებული მედიასაშუალებების აკრედიტაციის გაუქმებას და ა. შ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე“ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 50-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის

სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(თან ერთვის)

3. დადგენილება
„მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი. პარმენ ჯალაღონიას განცხადებით, სხდომაზე წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მომზადება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლით არის განპირობებული. უსკოს თავმჯდომარემ, უსკოს საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს, სულხან ჩოგაძეს სთხოვა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის კომისიის წევრთათვის გაცნობა. სულხან ჩოგაძემ კომისიას დეტალურად გააცნო დადგენილებით წარმოდგენილი ცვლილებები, მისი განცხადებით, ძირითადი ცვლილება შეეხება მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშიდან ამომრჩევლის/ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მისამართის ამოღებას, ვინაიდან საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, მხარდამჭერთა სიის ბლანკზე ამომრჩევლის/ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მისამართის მითითების საჭიროება აღარ არსებობს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდი 04/08/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016056) დამტკიცებულ წესში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1) შესავალი ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პარტიას, რომელსაც არ გააჩნია რეგისტრაცია ცესკოში, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად უსკოს უნდა წარუდგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დადგენილი რაოდენობის მხარდამჭერთა ხელმოწერა.".

2) 1.5. პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3) 1.6. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.6. ბლანკის მე-5 გრაფაში სრულად უნდა იყოს მითითებული ხელმოწერის თარიღი (მაგ:21.03.2016.), რომელიც უნდა ემთხვეოდეს პარტიის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მიერ ბლანკის გატანისა და შემოტანის თარიღებს შორის პერიოდს. ბლანკის გატანის თარიღი დაფიქსირებულია და დამოწმებულია პარტიის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის ხელმოწერით ნიმუშზე, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება უსკოს შესაბამის დეპარტამენტში/საოლქო საარჩევნო კომისიაში.“.

4) 1.7. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.7. ბლანკის მე-6 გრაფაში უნდა იყოს ამომრჩევლის ხელმოწერა.“.

5) 1.11. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.11. ბლანკზე „ხელმოწერის შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი“, სრულად უნდა იყოს მითითებული: სახელი, გვარი, (ჯერ სახელი და შემდეგ გვარი) პირადი ნომერი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ხელმოწერა, ბლანკის შევსების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), რომელიც უნდა ემთხვეოდეს/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მიერ ბლანკის გატანისა და შემოტანის თარიღებს შორის პერიოდს.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის

სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ[5]“ ქვეპუქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია, **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სტრუქტურა, დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

5. განკარგულება
არასაარჩევნო პერიოდში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „არასაარჩევნო პერიოდში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „არასაარჩევნო პერიოდში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 18 აგვისტოს №3 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს არასაარჩევნო პერიოდში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს „არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 18 აგვისტოს №3 დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან.

(თან ერთვის)

6. განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისის 2020 წლის 10 ივლისის №5 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №5 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №5 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №5 განკარგულებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის მხარდამჭერთა სიის ბლანკი (ფორმა №3-07.01.02) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**